ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N GPA 321118

საფოსტო-საკურიერო მომსახურების შესახებ

(PS/T2)

ქ.ტყიბული 12.01.2024 **წ.**

ერთი მხრივ, ტყიბულის საგანმანათლებლო რესურსცენტრი (შემდეგში - „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი ირინე კორძაია მიერ, ხოლო, მეორე მხრივ, **შპს „საქართველოს ფოსტა“** (შემდეგში -„მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი ტყიბულის ს/ც 4300 მენეჯერს მოვალეობის შემსრულებელი ნანა სვინტრაძე მიერ, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტისა და ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის ,,ა“ პუნქტის საფუძველზე, ურთიერთშეთანხმებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. შემსრულებელი დამკვეთის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღირებულების ანაზღაურების სანაცვლოდ, დამკვეთს უწევს საფოსტო-საკურიერო მომსახურებას წინამდებარე ხელშეკრულებითა და „მომხმარებლის სახელმძღვანელოთი“ გათვალისწინებული წესით და პირობებით.
1.2. „მომხმარებლის სახელმძღვანელო“ განთავსებულია შემსრულებლის ვებ-გვერდზე http://www.gpost.ge და წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. „მომხმარებლის სახელმძღვანელოში“ განხორციელებული ნებისმიერი ცვლილება ძალაშია შემსრულებლის ვებ-გვერდზე http://www.gpost.ge განთავსების დღიდან.
შენიშვნა: ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, მხარეები ადასტურებენ, რომ „მომხმარებლის სახელმძღვანელოში“ განხორციელებული ნებისმიერი ცვლილება არ შეეხება წინამდებარე ხელშეკრულების დანართ(ებ)ით შეთანხმებულ მომსახურების ღირებულებას.

მუხლი 2. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი

2.1. მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების გზით.
2.2. საფოსტო-საკურიერო მომსახურების ღირებულება მომსახურების თითოეული სახეობის მიხედვით განისაზღვრება წინამდებარე ხელშეკრულების დანართებით, რომლებიც ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ.
2.3. შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისათვის გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება წარმოებს საანგარიშო თვეში ფაქტობრივად განხორციელებული საფოსტო-საკურიერო მომსახურების შესაბამისად, მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და მიმწოდებლის მიერ ანგარიშფაქტურის შემსყიდველისთვის წარდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
2.4. ხელშეკრულების სავარაუდო საერთო ღირებულება შეადგენს 250 ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

მუხლი 3. შემსრულებლის უფლებები და ვალდებულებები

3.1. შემსრულებელი ვალდებულია:
3.1.1. ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შეასრულოს მასზე დაკისრებული უფლება-მოვალეობები;
3.1.2. მოთხოვნის საფუძველზე, შესაბამისი ღირებულების ანაზღაურების სანაცვლოდ გაუწიოს დამკვეთს დამატებითი მომსახურება;

3.1.3. აუნაზღაუროს დამკვეთს მისი მართლსაწინააღმდეგო ქმედებით, აგრეთვე ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანი;
3.1.4. თავისი უფლება-მოვალეობების განხორციელებისას სრულად დაიცვას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, ამ ხელშეკრულებითა და „მომხმარებლის სახელმძღვანელოთი“ განსაზღვრული პირობები;
3.1.5. თუ შემსრულებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო წინამდებარე ხელშეკრულების 4.1.4. პუნქტში მითითებულ დროში ვერ ხერხდება გზავნილის გადაცემა, დაბრუნდეს შესაბამის სერვისცენტრში.

3.2. შემსრულებელს უფლება აქვს:
3.2.1. მოსთხოვოს დამკვეთს წინამდებარე ხელშეკრულებითა და მოქმედი კანონმდებლობით მასზე დაკისრებული უფლება-მოვალეობების კეთილსინდისიერი და ჯეროვანი შესრულება;
3.2.2. მოთხოვოს დამკვეთს მართლსაწინააღმდეგო ქმედებით, აგრეთვე ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულების გამო მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება;
3.2.3. უარი განაცხადოს საფოსტო-საკურიერო მომსახურების გაწევაზე, ან/და საფოსტო გზავნილის მიღებაზე, თუ დარღვეულია ამ ხელშეკრულებაში ან/და „მომხმარებლის სახელმძღვანელოში“ მითითებული პირობები;
3.2.4. შეაჩეროს მომსახურების გაწევა თუ დამკვეთის მიერ დარღვეულია ანგარიშსწორების ვადა.

მუხლი 4. დამკვეთის უფლებები და ვალდებულებები
4.1. დამკვეთი ვალდებულია:
4.1.1. საფოსტო გზავნილის მისაღებად დაუბრკოლებლად გაატაროს თავის შენობაში შემსრულებლის წარმომადგენლები ან გასცეს შენობაში შესვლის მუდმივი საშვი;
4.1.2. მკაცრად დაიცვას გზავნილების გაფორმებისა და მომზადების შესახებ „მომხმარებლის სახელმძღვანელოში“ მითითებული წესები;
4.1.3. გზავნილის გაფორმებისას საფოსტო გზავნილზე მიუთითოს გამგზავნისა და მიმღების სრული და ზუსტი მისამართები, კერძოდ, საფოსტო ინდექსი, დასახლებული პუნქტი (ქალაქი, დაბა, სოფელი და ა.შ.), ქუჩის სახელწოდება, შენობისა და ბინის ნომერი;
4.1.4. არ დაუშვას საფოსტო გზავნილის მისაღებად მასთან მისული შემსრულებლის წარმომადგენლის მოცდენა. ამასთან, მოცდენად ჩაითვლება გარემოება, როდესაც შემსრულებელი დამკვეთის მოთხოვნის შესაბამისად გამოცხადდება მის მისამართზე, ხოლო დამკვეთი შემსრულებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ გადასცემს მას საფოსტო გზავნილს 20 (ოცი) წუთის განმავლობაში;
4.1.5. შემსრულებლის მოთხოვნის საფუძველზე მიაწოდოს მას ამომწურავი ინფორმაცია საფოსტო მარკების ანგარიშფაქტურის და/ან სასაქონლო ზედნადების შესახებ;
4.1.6. უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება საფოსტო მარკებით ანგარიშსწორების გზით;
4.1.7. აუნაზღაუროს შემსრულებელს მისი მართლსაწინააღმდეგო ქმედებით, აგრეთვე ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანი;
4.1.8. შესრულებელთან ურთიერთობისას გამოყოს საკონტაქტო პირი: სახელისა და გვარის, პირადი ნომრის, საკონტაქტო ტელეფონისა და ელ. ფოსტის მითითებით: ირინე კორძაია 577653911

4.2. დამკვეთს უფლება აქვს:
4.2.1. ამ ხელშეკრულების დანართით გათვალისწინებული ღირებულების ანაზღაურების სანაცვლოდ მოითხოვოს შემსრულებლისაგან დამატებითი მომსახურების გაწევა;

4.2.2. მოთხოვოს შემსრულებელს მისი მართლსაწინააღმდეგო ქმედებით, აგრეთვე ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება;
4.2.4. გზავნილების შექმნისა და მოძიების ელექტრონულ პროგრამაში მუშაობის უზრუნველსაყოფად ისარგებლოს ბარკოდ წამკითხველი რიდერით.

მუხლი 5. მხარეთა პასუხისმგებლობა და დაუძლეველი ძალა
5.1. შემსრულებელი წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის პასუხს აგებს „მომხმარებლის სახელმძღვანელოთი“ დადგენილი ოდენობითა და წესით.
5.2. მხარეები, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფინანსური ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, იხდიან პირგასამტეხლოს ვადამოსული შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
5.3. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ვალდებულებების სრული ან/და ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში, რომლის დროსაც შეუძლებელია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება. მხარე, რომელიც მიუთითებს დაუძლეველი ძალის მოქმედებაზე, თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან მხოლოდ იმ ფარგლებში, რომლებშიც მას ხელი შეეშალა წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში.
5.4. „დაუძლეველი ძალის“ ქვეშ იგულისხმება გარემოებები, რომელიც განსაზღვრულია „მომხმარებლის სახელმძღვანელოში“.
5.5. იმ შემთხვევაში, თუ დამკვეთისათვის დაუძლეველი ძალის დადგომის გამო ვალდებულებების შესრულება შეუძლებელია, იგი ვალდებულია გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 7 (შვიდი) სამუშაო დღისა, აცნობოს ამის შესახებ შემსრულებელს. არასაპატიო მიზეზით შეუტყობინებლობისა და დაგვიანებული შეტყობინების შემთხვევაში, დამკვეთი კარგავს უფლებას დაეყრდნოს დაუძლეველი ძალის არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძველს.
5.6. შემსრულებლის მიერ ინფორმაცია დაუძლეველი ძალის დადგომისა და მისი დასრულების შესახებ გამოქვეყნდება შემსრულებლის ვებ-გვერდზე.
5.7. დამკვეთი ვალდებულია დაუძლეველი ძალის დასრულების შესახებ წერილობითი შეტყობინება გაუგზავნოს მეორე მხარეს გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა მისი დასრულებიდან.
5.8. თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება გრძელდება 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღეზე მეტ ხანს, მხარეებმა უნდა გადაწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ბედი. თუ მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, დავა განიხილება წინამდებარე ხელშეკრულების მე-6 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 6. დავის გადაწყვეტის წესი
6.1. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა პრეტენზია განხილული უნდა იქნეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში შესაბამისი მხარის მიერ პრეტენზიის წერილობითი ფორმით მიღების დღიდან.
6.2. საფოსტო-საკურიერო მომსახურებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაწყდება „მომხმარებლის სახელმძღვანელოში“ განსაზღვრული წესებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მისი შეწყვეტის წესი
7.1. .1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის მომენტიდან/2024 წლის 12 იანვრიდან და მოქმედებს 2025 წლის 31 იანვრის ჩათვლით. მომსახურების გაწევის ბოლო ვადაა 2024 წლის 31 დეკემბერი
7.2. წინამდებარე ხელშეკრულება ვადამდე შეიძლება შეწყდეს:
7.2.1. მხარეთა ურთიერთშეთანხმებით;

7.2.2. ცალმხრივად, ერთი მხარის მიერ მეორე მხარისათვის წინასწარ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.
7.3. თითოეულ მხარეს შეუძლია მოშალოს ხელშეკრულება ამ მუხლით გათვალისწინებული წესის დაუცველად, თუ მეორე მხარე არღვევს დაკისრებულ მოვალეობებს და შესაბამისმა მხარემ განუსაზღვრა მას გონივრული ვადა დარღვევის აღმოსაფხვრელად, ხოლო დამრღვევმა მხარემ ვერ უზრუნველყო დადგენილ ვადაში დარღვევის გამოსწორება.

მუხლი 8. მომსახურების სპეციალური პირობები და პროცედურები
8.1. წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში, დამკვეთის მიერ საფოსტო გზავნილების შემსრულებლისათვის გადაცემა ხორციელდება დამკვეთის მისამართზე. ამასთან, კურიერის ვიზიტი დამკვეთის მისამართზე ერთი სამუშაო დღის განმავლობაში ხორციელდება მხოლოდ ერთხელ.
8.2. ადგილობრივი საფოსტო გზავნილების ადრესატისათვის ჩაბარება, ხორციელდება ადრესატის მისამართზე.
8.3. საერთაშორისო საფოსტო გზავნილების ადრესატისთვის ჩაბარება ხორციელდება დანიშნულების ქვეყნის საფოსტო ადმინისტრაციის მიერ დადგენილი წესებისა და სტანდარტების შესაბამისად.
8.4. თუ ადრესატი სარგებლობს შემსრულებლის სააბონენტო საფოსტო ყუთით, მასზე დამისამართებული მარტივი კატეგორიის საფოსტო ბარათისა და წერილის ჩაბარება განხორციელდება ასეთ სააბონენტო საფოსტო ყუთში მოთავსების გზით.

მუხლი 9. დასკვნითი დებულებები
9.1. წინამდებარე ხელშეკრულების დანართები ითვლება მის განუყოფელ ნაწილად და განიხილება მასთან ერთად.
9.2. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში საფოსტო-საკურიერო მომსახურების ღირებულება შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.
9.3. თუ წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულება ბათილია, მიუხედავად ბათილობის საფუძვლისა, ეს არ გამოიწვევს მთელი ხელშეკრულების ბათილობას. ამ შემთხვევაში ხელშეკრულების ნამდვილი დებულებები მოქმედებს ბათილი დებულების გარეშე.
9.4. ყველა იმ საკითხის რეგულირების მიზნით, რომელიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე ხელშეკრულებით, მხარეები მოქმედებენ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და „მომხმარებლის სახელმძღვანელოს“ შესაბამისად.
9.5. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების დაწყებიდან ძალადაკარგულად ცხადდება მხარეებს შორის წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებამდე არსებული ყველა ზეპირი ან/და წერილობითი შეთანხმება ან მისი ნაწილი, რომელიც ეწინააღმდეგება წინამდებარე ხელშეკრულებას.
9.6. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორი) ეგზემპლარად და ინახება ხელშეკრულების მხარეებთან.

მუხლი 10. მხარეთა რეკვიზიტები

„დამკვეთი“	„შემსრულებელი“
ს/ნ 219628222 მის: ტყიბული. კ.ლომაძის 3 ბანკი: სახაზინო ბ.კ: ანგ. ნომერი:	შპს ,,საქართველოს ფოსტა“ ს/ნ 203836233; მის: 0100 თბილისი, სადგურის მოედანი N2 ბანკი: სს „საქართველოს ბანკი“ ბ.კ: **BAGAGE22** ანგ. ნომერი: GE13BG0000000123286800 ნანა სვინტრაძე სერვის ცენტრის მენეჯერის მოვალეობის შემსრულებელი

Georgian Post LLC

Digitally signed by Georgian Post LLC
Date: 2024.01.12 16:03:31 +04'00'

საფოსტო მომსახურების ტარიფები

N	მომსახურების დასახელება	ერთეულის ღირებულება (ლარი დღგ-ს ჩათვლით)
1	ნებისმიერი გზავნილის ტარიფი საქართველოს მასშტაბით 0 – 1 კგ-ს ჩათვლით	15.00
2	ნებისმიერი გზავნილის ტარიფი 1 კგ-ს ზემოთ ყოველ დამატებულ 1 კგ-ზე (არაუმეტეს 20 კგ-ისა)	1.00

შენიშვნა: ამანათის ზომები: 1.05მX 1.05მX1.05მ (ან 2მ. სიგრძისა და ყველაზე დიდი გარშემოწერილობის ჯამისათვის,რომელიც უნდა გაიზომოს სიგრძის ნაცვლად სხვა მიმართულებით)

დამატებითი მომსახურების ტარიფები

დამატებითი სერვისის სახე	**გზავნილის სახეობა, რომელზეც ხორციელდება მომსახურება**	**ფასი**
ინფორმაციის გაცემა საფოსტო მომსახურების განხორციელების ფაქტის დადასტურების შესახებ (ცნობა)	ადგილობრივი რეგისტრირებული წერილობითი კორესპონდენცია და ამანათი, აგრეთვე საერთაშორისო (შემომავალი) საფოსტო გზავნილები, რომელთა რეგისტრაციაც ხორციელდება საფოსტო პროგრამაში	7.5 ლარი - 15 დღიან პერიოდზე ან 5 გზავნილზე (დოკუმენტი ბარდება ადრესატის მისამართზე)
დაზღვეული ამანათი		შესაბამისი წონის რეგისტრირებული ამანათის გაგზავნის ღირებულებას + გამოცხადებული ღირ-ის 5%
გზავნილი- ჩაბარების დასტურით	ადგილობრივი რეგისტრირებული წერილობითი კორესპონდენცია	გზავნილის გაგზავნის ღირებულებას +ამ ღირებულების 80% , მაგრამ არაუმეტეს 5 ლარისა
გადამისამართება	ადგილობრივი რეგისტრირებული წერილობითი კორესპონდენცია და ამანათი	ადრესატის მისამართის ცვლილება - 3 ლარი
		ადრესატის ვინაობის (სახელის/გვარის ან სახელწოდების) ცვლილება - 1 ლარი
		არასტანდარტული გადამისამართება - 4 ლარი

საბაჟო დეკლარაციის მომზადება	საერთაშორისო გზავნილი, რომელზეც მოთხოვნილია ექსპორტის/იმპორტის დეკლარირება	25 ლარი
გზავნილის არქივიდან გამოთხოვა	ადგილობრივი რეგისტრირებული და დაზღვეული წერილი; ადგილობრივი რეგისტრირებული; დაზღვეული ამანათი; საერთაშორისო (შემომავალი) საფოსტო გზავნილები, რომელთა რეგისტრაციაც ხორციელდება საფოსტო პროგრამაში	2 ლარი
შენახვის ვადის გაზრდის სერვისი	ადგილობრივი რეგისტრირებული და დაზღვეული წერილი; ადგილობრივი რეგისტრირებული; დაზღვეული ამანათი; საერთაშორისო (შემომავალი) საფოსტო გზავნილები, რომელთა რეგისტრაციაც ხორციელდება საფოსტო პროგრამაში	გზავნილის შენახვის ვადის 15 დღემდე გაგრძელება - 2 ლარი
		გზავნილის შენახვის ვადის 30 დღემდე გაგრძელება - 3 ლარი
ვადაზე ადრე უკან დაბრუნების სერვისი	ადგილობრივი საფოსტო გზავნილი, რომელიც დარეგისტრირებულია საფოსტო პროგრამაში	2 ლარი
საბაჟო კონტროლის გავლა	საერთაშორისო (შემომავალი) მცირე პაკეტი და ამანათი	2 ლარი